ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№44. 442321520
თარიღი:03/08/2023

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამარტივებული კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე,84-ე მუხლებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე -3 თავის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს გამარტივებული კონკურსი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კერძოდ:

ა/ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურე -ფოტოგრაფი-1 (ერთი) ერთეული.თანამდებობრივი სარგოს ოდენობა 1705 ლარი.

2. გამარტივებულ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს :

ა/ საგანმანათლებლო ხარისხი: ბაკალავრი.

ბ/ ფოტოკამერის სისტემების ცოდნა,განათების პარამეტრების კონტროლი.

გ/ მხატვრული კომპოზიიცის, კადრის პროფესიული აღქმა, შემოქმედითობა, დეტალებზე ორიენტირება, დროის მართვა, პრობლემის ეფექტურად გადაჭრის უნარი.

დ/ კომპიუტერული პროგრამების adobe photoshop, adobe lightroom კარგი ცოდნა.

ე/ სამუშაო გამოცდილება ფოტოკამერით მუშაობის პრაქტიკის კუთხით.

ვ/ კრეატიულობა, ორგანიზებულობა, გუნდურობა, შედეგზე ორიენტირება.

3. დასაქმებული უზრუნველყოფს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ღონისძიებებისა და სხვა აქტივობების ფოტოგადაღებებს.

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოსამსახურეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოსამსახურეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად განესაზღვროს 10/ ათი/ კალენდარული დღე.

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოსამსახურეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლია მხოლოდ ელექტრონულად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

7. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

10. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი